



KA070186330596818



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

N03/141

16 / აპრილი / 2018 წ.

ქ.თბილისი

ხელოვნების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ/ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებული პირების (პროექტის განმახორციელებლის) მიერ სამინისტროში წარმოსადგენი ანგარიშის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის N96 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და ხელოვნების დეპარტამენტის, 2018 წლის 22 მარტის N 7702 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხელოვნების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ/ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებული პირების (პროექტის განმახორციელებლის) მიერ სამინისტროში წარმოსადგენი ანგარიშის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს მანანა ბერიკაშვილს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

მიხეილ გიორგაძე